



ონის მუნიციპალიტეტის მერია



ონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

ქ. ონი

N 1986
27/08/2019

1986-02-4-201908271806



ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2019 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტისა და 22-ე მუხლის, „სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 აგვისტოს N360 დადგენილების თანახმად სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა ორგანიზებულად გაწვევის მიზნით, **ვბრძანებ:**

1. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019 წლის 12 აგვისტოდან 2019 წლის 28 დეკემბრამდე განხორციელდეს მოქალაქეთა საშემოდგომო სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა.
2. ონის მუნიციპალიტეტის გამწვევ უბანზე გამოცხადებას ექვემდებარება სავალდებულო სამხედრო სამსახურში 18 -დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომელთაც არა აქვთ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების ან გადავადების უფლება.
3. ყველა მოქალაქე, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევას, ვალდებულია გამოცხადდეს მისამართზე: ქ. ონი დავით აღმაშენებლის მოედანი N4, ზუსტად დანიშნულ რიცხვში და დროს, რომელიც მითითებულია პერსონალურ უწყებაში. პირი, მოქალაქე, რომელმაც ვერ მიიღო უწყება, ვალდებულია გამოცხადდეს 2019 წლის 28 დეკემბრამდე და ხელზე იქონიოს პირადობის დამადასტურებელი საბუთი.
4. ყველა გასაწვევი ასაკის მოქალაქე, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევას და იმყოფება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დროებით, დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნდეს მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე და გამოცხადდეს იმ მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურში, სადაც იმყოფება აღრიცხვაზე.

5. ის მოქალაქე, რომელიც თავს აარიდებს გამწვევ უბანზე გამოცხადებას, პასუხს აგებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
6. შინაგან საქმეთა სამინისტროს ონის რაიონულმა სამმართველომ აღმოუჩინოს სამსახურს დახმარება იმ წვევამდელზე, რომელიც შეგნებულად თავს აარიდებს გამწვევ კომისიაზე გამოცხადებას.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ამბროლაური, კოსტავას ქ.N13) ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად.

ემზარ საბანაძე

მუნიციპალიტეტის მერი

